

დიპლომის შემდგომი განათლების

(პროფესიული მზადების)

რეზიდენტურის

პროგრამა

„პედიატრია“

2013 წელი

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

“პედიატრია”

მზადების ხანგრძლივობა 3 წელიწადი

I. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები:

1.1. შესავალი:

➤ პედიატრიის სარეზიდენტო პროგრამა აგებულია მოდულების პრინციპზე და გულისხმობს რეზიდენტის მიერ “პედიატრიის” ყველა სავალდებულო მოდულის გაკლას, რომლებშიც მოცემულია მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, მზადების ფორმები, მეთოდები, ხანგრძლივობა და შეფასების კრიტერიუმები.

➤ პედიატრიის სარეზიდენტო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარულ და ამბულატორიულ განყოფილებებში ავადმყოფების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი უნდა იძლეოდეს ამ სპეციალობით ღრმა კლინიკური გამოცდილების მიღების საშუალებას. გარდა ამისა, პედიატრიის რეზიდენტურის პროგრამის ჩატარებისთვის დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პედეგოგიური პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი.

➤ რეზიდენტურის პროგრამა პედიატრიაში გათვლილია 3 წელიწადზე (33 თვეზე) და შედგება 9 სავალდებულო მოდულისგან.

პროგრამის წარმატებული განხორციელების აუცილებელი პირობაა გუნდური მუშაობა. რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე თითოეული დაწესებულების თანამშრომელთა რიცხვიდან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეირჩევა რეზიდენტების მზადების მოდულზე პასუხისმგებელი პირები.

მოდულზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციაა კონკრეტულ კლინიკურ ბაზაზე რეზიდენტის მზადების პროცესის წარმართვა და კონტროლი მზადების პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ანგარიშვალდებულია რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელის წინაშე.

1.2. მიზანი და ამოცანები:

- რეზიდენტურაში მზადების პროგრამა პედიატრიაში დაფუძნებულია პედიატრის პროფესიულ სტანდარტებზე/კომპეტენციებზე, რომელიც, თავის მხრივ, მაქსიმალურად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და განაკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, რომელთაც აქვთ მტკიცე სურვილი გახდნენ ექიმი-პედიატრები.
- რეზიდენტურის პროგრამა განაპირობებს რეზიდენტის კარგად ორგანიზებულ პროფესიულ ზრდას და უქმნის მას პროფესიულ გარემოს.
- სარეზიდენტო პროგრამა რეზიდენტს უზრუნველყოფს ისეთი მზადებით, რომელიც ხელს უწყობს სამედიცინო სკოლაში მიღებული ცოდნის ინტეგრირებას პრაქტიკაში და ითვალისწინებს პედიატრიის სხვადასხვა საკითხებში ფართო თეორიული ცოდნის მიღებას, პროფესიული და გადაუდებელი დახმარების გაწევის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, გამოცდილების შექმნას, სხვადასხვა მანიპულაციისა და პროცედურების ტექნიკის ათვისებას და საბოლოო ჯამში ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც შეეძლება სრულფასოვანი დახმარება გაუწიოს ბავშვთა მოსახლეობას.
- რეზიდენტურაში მომზადდებულ სპეციალისტს პედიატრს შეეძლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ექსტრემულ სიტუაციაში, გაუწიოს პაციენტს გადაუდებელი დახმარება, დაადგინოს სწორი დიაგნოზი, შეიმუშაოს ავადმყოფის გამოკვლევისა და მკურნალობის ტაქტიკა, ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები, განახორციელოს ხანგრძლივი დაკვირვება ავადმყოფზე. იგი გარკვეული იქნება თერაპიულ და ქირურგიულ პათოლოგიებს შორის მომიჯნავე მდგომარეობებში და იმ დავალებებში, რომლებიც იშვიათია პედიატრიულ პრაქტიკაში.
- არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ რეზიდენტურაში მზადება საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი პროცესია, რის მიმართაც რეზიდენტს მოუხდება ადაპტაცია. კლინიკური საქმიანობა მეტად მძიმეა და ხშირად მოულოდნელობებითაა აღსავსე, რასაც იგი უნდა გაუმკლავდეს თავისი ძალებით. მეტიც, მას ხშირად მოუხდება პაციენტის ოჯახის სოციალურ პრობლემებთან შეჯახება. იგი ხშირად მოწმე გახდება მათი ემოციური, საკმაოდ დაძაბული ქცევისა. მისთვის მტკივნეული იქნება მკურნალობის პროცესის ცუდი დასასრული.
- შესაბამისად, იმისათვის, რომ რეზიდენტის ქმედება მაქსიმალურად ეფექტური იყოს სხვადასხვა სახის სტრესის ზემოქმედების ქვეშ, იგი მზად უნდა იყოს მაქსიმალურად შეინარჩუნოს ემოციურად სტაბილური მდგომარეობა ნებისმიერ სიტუაციაში.
- ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების მართვა ძირითადად ექიმის პრეროგატივაა, ანუ რეზიდენტი პასუხისმგებელია პაციენტის წინაშე წარმოებულ ყველა პროცესზე. ამიტომაც, მას უნდა გააჩნდეს ისეთი თვისებები, როგორცაა ინტეგრაციის უნარი (მან არ უნდა დაუშვას პიროვნული და პროფესიული კოდექსის დარღვევა), სხვათა პატივისცემის უნარი (პაციენტის, მისი ოჯახის წევრების, კოლეგების, ჯანდაცვის მუშაკთა მთელი გუნდისა და სხვ.). მას უნდა ახასიათებდეს ეთიკის, სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო-სამართლებრივ პრობლემათა გაგების, წვდომის თვალსაზრისით მუდმივი ზრდის პროცესი.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეზიდენტი უნდა იყოს გულისხმიერი და ყოველთვის მზად პაციენტის დასახმარებლად ნებისმიერ დროსა და ვითარებაში. დროულად შეასრულოს სამუშაო, არასოდეს დაამახინჯოს პაციენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, იყოს ემპათიური და მგრძობიარე, როგორც პაციენტის, ასევე მისი ოჯახის მოთხოვნათა და სურვილების მიმართ, თანამშრომლობდეს და კარგ ურთიერთობებს ჯანდაცვის მუშაკებთან.
- რეზიდენტს უნდა ჰქონდეს სურვილი და მზაობა მიიღოს და შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის ყველა მითითება და ინსტრუქცია, გაითვალისწინოს კრიტიკა. რეალურად შეაფასოს საკუთარი ძალები, ნაკლოვანებები და არაადეკვატურობა. მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე მზაობა გარკვეული ცვლილებებისადმი, საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი, აგოს პასუხი საკუთარი შეცდომებისა და მარცხის გამო, რაც თავის მხრივ საკუთარი კომპეტენციის სრულყოფისა და პროფესიული ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია.
- ყოველკვირეული და კლინიკური კონფერენციების გარდა, რომლებზეც რეზიდენტები აკეთებენ ზეპირ მოხსენებებს, ამზადებენ თვალსაჩინოებს, რეზიდენტურის პროგრამით გათვალისწინებულია კონფერენციების, სემინარების ჩატარება მედიცინის სხვადასხვა დარგებში, დეონტოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ზოგადბიოლოგიურ საკითხებზე და სხვ. ამ კონფერენციების დღის წესრიგში სასურველია შეტანილი ფუნდამენტური ფიზიოლოგიის, პათოფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის, იმუნოლოგიის, პათოლოგიისა და ფსიქო-სოციოლოგიის ასპექტების თანხვედრა იმ საკითხებთან, რომლებიც შეტანილია რეზიდენტურის პროგრამაში. ეს რეზიდენტს გაუღრმავებს ცოდნას და უკეთ შეასწავლის დაავადებათა მექანიზმს,

კლინიკასა და მკურნალობას. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკის სპეციალისტები და კათედრის პედაგოგები შესაძლოა კომპენტენტურები იყვნენ ამ საკითხებში, მაინც მიზანშეწონილია წამყვანი მეცნიერების მოწვევა, რომლებიც უფრო დაინტერესებენ რეზიდენტებს. თუ რეზიდენტი გამოირჩევა სწავლების პროცესში, იგი შეიძლება წარსდგეს კონფერენციაზე მომხსენებლის სტატუსით.

➤ გარდა ამისა, რეზიდენტს ეკისრება საგანმანათლებლო როლი სტუდენტების, ჯანდაცვის მუშაკთა, პაციენტის ოჯახის წევრთა და საერთოდ საზოგადოების წინაშე. სწავლების ოსტატობისა და ხელოვნების რეზიდენტისთვის შესწავლა სარეზიდენტო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რეზიდენტი მზად უნდა იყოს აიღოს საგანმანათლებლო ვალდებულება და უნდა შეძლოს დაამყაროს დირსეული საგანმანათლებლო ურთიერთობები. მან უნდა გამოიჩინოს გულისხმიერება პიროვნების ისეთი მახასიათებლების მიმართ, როგორცაა სქესი, კულტურული წარმომავლობა და პროფესიონალიზმის დონე. მეტიც, იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს როგორც სტუდენტთა, წინა კურსის რეზიდენტთა, ასევე მათ ხელმძღვანელთა შეფასებაში.

➤ რეზიდენტურის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ რეზიდენტი იღებს სახელმწიფო მოწმობას, ხოლო დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად აბარებს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას. რეზიდენტურაში მომზადებულ პედიატრს სერტიფიცირების შემდეგ უფლება აქვს იმუშაოს პედიატრად ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთვნილებისა.

2. სპეციალობის (პედიატრია) აღწერილობა

2.1 სპეციალობისა და სპეციალისტის ბანსაზღვრება (დებინიცია)

პედიატრია არის მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ბავშვის განვითარებას, ფიზიკური, ემოციური და სოციალური ჯანმრთელობის საკითხებს, დაავადებების პროფილაქტიკას და მართვას.

2.2. პედიატრის პაციენტთა მომსახურების პოპულაცია (ასაკობრივი ჯგუფი)

პედიატრიული სამსახური მოიცავს დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე მოსახლეობის საკონსულტაციო, ამბულატორიულ, გადაუდებელ და სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას.

2.3. სპეციალისტის (პედიატრის) პროფესიული ზოგადი ცოდნა

პედიატრმა უნდა იცოდეს:

- ამბულატორიული და პრევენციული პედიატრია. იმუნიზაცია. ჯანმრთელი ბავშვების და მოზარდების დისპანსერიზაციის პრინციპები, მათი განაწილება ჯანმრთელობისა და რისკის ჯგუფებში. ბავშვთა ჰიგიენური აღზრდის პრინციპები.
- ავადმყოფი ბავშვის დისპანსერიზაციის და რეაბილიტაციის პრინციპები, ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკა. ფიზიოთერაპიის და სამკურნალო ფიზიკულტურის საფუძვლები
- ნაყოფის, ახალშობილის და ბავშვის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები. ბავშვთა ფიზიოლოგიური განვითარება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.
- ნაყოფი და ახალშობილი. ნაყოფის განვითარების შეფასება ახალშობილის მართვა სამშობიარო ბლოკში. ტრანსიტორული მდგომარეობები, ჯანმრთელი ახალშობილი. ახალშობილის რუტინული მოვლა. ახალშობილთა დაავადებები. დღენაკლი ახალშობილი. მცირე წონის ახალშობილი
- ბავშვის ზრდა და განვითარების შეფასება.
- ქცევის პათოლოგია. შემეცნების, სწავლის, მეტყველების და ყურადღების დარღვევები. გონებრივი ჩამორჩენა. სპეციფიკური სენსორული დეფიციტი (სმენის დაქვეითება, მხედველობის დაქვეითება). ფსიქოლოგიური დარღვევები. ბავშვზე ძალადობა და უგულვებელყოფა. მიუნჰაუზენის სინდრომი. სუიციდი
- მოზარდთა მედიცინა. მოზარდის განვითარება. სქესობრივი მომწიფება მოზარდთა ჯანმრთელობის საკითხები. ნარკომანია. ტოქსიკომანია.
- გენეტიკა და დისემბრიოგენეზი ქრომოსომული დარღვევები და გენური დაავადებები. მავნე ფაქტორების ზემოქმედება ნაყოფზე. პრენატალური დიაგნოზი.

- ალერგია და ალერგიის მსგავსი დაავადებები
- იმუნური დარღვევები. პირველადი და მეორადი იმუნოდეფიციტი
- სომატური დაავადებების კლინიკური სიმპტომატიკა, მიმდინარეობის თავისებურებანი სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდებში.
 - რესპირაციული დაავადებები
 - გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
 - გულისცემის სისწორისა და რიტმის დარღვევები
 - კუჭ-ნაწლავის დაავადებები
 - სისხლის დაავადებები და სიმსივნური დაავადებები
 - შემდეგებული სისტემის დაავადებები
 - თირკმლის დაავადებები. არტერიული ჰიპერტენზია
 - გენიტალიუმის დაავადებები
 - ნევროლოგიური დაავადებები. ნევროლოგიური დისფუნქციის ნიშნებისა და სიმპტომების ამოცნობა
 - ძვალ-კუნთოვანი სისტემის თანდაყოლილი და შექნილი დაავადებები
 - კანის დაავადებები.
 - თვალის დაავადებები
 - ყურის, ცხვირის და პირის ღრუს დაავადებები
 - ენდოკრინოპათიები, ენდოკრინული და მეტაბოლური დაავადებები
 - კოლაგენურ-ვასკულური და სხვა მულტისისტემური დაავადებები
- ინფექციური დაავადებები და ტუბერკულოზი. პასიური და აქტიური იმუნოთერაპია. სანიტარიულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიებების პრინციპები.
- სომატური და ინფექციური დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. ბავშვთა ასაკის ფარმაკოთერაპიის და ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები, სამკურნალო საშუალებების ძირითადი ჯგუფების მოქმედების მექანიზმები, გამოყენების ჩვენებები, უკუჩვენებები, გართულებები. პრეპარატთა ტოქსიკური ეფექტი
- გადაუდებელი დახმარების და რეანიმაციის პრინციპები პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ პირობებში. პირველადი დახმარება ტრავმის, დამწვრობის, დახრჩობის, მოტეხილობის, ჭრილობის, რესპირაციული დისტრესის, შოკის, კომის, კარდიოვასკულური უკმარისობის, კრუნჩხვის, ცხელების, ტკივილის და სხვათა დროს. მოსალოდნელი მულტიორგანული უკმარისობის ამოცნობა. კლინიკური სიკვდილი. ვიტალური ფუნქციების აღდგენის რეანიმაციული ღონისძიებები. ABC რეანიმაციის პრინციპები, PALS, BLS. დეჰიდრატაცია და ელექტროლიტური დისბალანსი. მოწამვლები.
- ბავშვთა რაციონალური კვების პრინციპები.. კვებითი უზრუნველყოფის პრინციპები. ვიტამინები. კვებითი დანამატები კვებასთან დაკავშირებული მდგომარეობები. კვების დეფიციტი. ჭარბი კვება. დიეტოთერაპია სხვადასხვა დაავადებების დროს
- სპორტის მედიცინა

2.4 დაავადებები და მდგომარეობები

ექიმ პედიატრს უნდა შეეძლოს შემდეგი ნოზოლოგიების და მდგომარეობების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და მეთვალყურეობა, სხვა ნოზოლოგიების მართვა კი უნდა განხორციელდეს ექიმ სპეციალისტებთან რეფერალის შემდგომ.

| ICD 10 | პათოლოგია | საქმიანობის მოცულობა |
|--------|-----------------------------|----------------------------------------|
| A02 | სხვა სალმონელური ინფექციები | დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მეთვალყურეობა |
| A03 | შიგელოზი | |

| | | |
|-----------------|---------------------------------------------------------------------------------------------|--|
| A04 | ნაწლავების სხვა ბაქტერიული ინფექციები | |
| A05.9 | ბაქტერიული საკვებისმიერი ინტოქსიკაცია, დაუზუსტებელი | |
| A07 | ნაწლავების სხვა პროტოზოული ავადმყოფობები | |
| A08 | ნაწლავთა ვირუსული და სხვა დაზუსტებული ეტიოლოგიის ინფექციები | |
| A09 | სავარაუდოდ ინფექციური წარმოშობის გასტროენტერიტი და კოლიტი | |
| A28.1 | კატის ნაკაწრის ავადმყოფობა | |
| A32 | ლისტერიოზი | |
| A37 | ყივანახველა | |
| A38 | ქუნთრუშა | |
| A40 | სტრეპტოკოკული სეპტიცემია | |
| A41 | სხვა სეპტიცემიები | |
| A49 | ბაქტერიული ინფექცია დაუზუსტებელი ლოკალიზაციით | |
| A49 | ადრეული თანდაყოლილი ათაშანგი | |
| A85 | - ვირუსული ენცეფალიტი, დაუზუსტებელი. | |
| A86 | სხვა ვირუსული ენცეფალიტი | |
| A87 | ვირუსული მენინგიტი | |
| B00 | ჰერპესვირუსული ინფექციები | |
| B01 | ჩუტყვაგვილა | |
| B02 | ზოსტერი | |
| B05 | წითელა | |
| B06 | წითურა | |
| B08.2- B08.8 | სხვა ვირუსული ინფექციები კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებით | |
| B09 | ვირუსული ინფექცია, რომელიც ხასიათდება კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებით, დაუზუსტებელი | |
| B15- B19 | ვირუსული ჰეპატიტი | |
| B25 | ციტომეგალოვირუსული ავადმყოფობა | |
| B26 | ყბაყურა | |
| B27 | ინფექციური მონონუკლეოზი | |
| B30 | ვირუსული კონიუქტივიტი | |
| B33.2 | ვირუსული კარდიტი | |
| B34 | დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ვირუსული ინფექცია | |
| B37 | კანდიდოზი | |
| B49 | მიკოზები, დაუზუსტებელი | |
| B59 | პნევმოციტოზი | |
| B77 | ასკარიდოზი | |
| B80 | ენტერობიოზი | |
| B85- B86 | პედიკულოზი და ფტირიაზი. ბღერი | |
| D50- D53 | ალიმენტური ანემია | |
| D63 | ანემია ქრონიკული ავადმყოფობების დროს. | |
| D69 | ალერგიული პურპურა | |
| D69.3 | იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა | |
| D69.6 | თრომბოციტოპენია დაუზუსტებელი | |
| D69.9 | ჰემორაგიული მდგომარეობები, დაუზუსტებელი | |

| | | |
|----------------|----------------------------------------------------------------------------------------------------|--|
| | | |
| E40-46 | საკვების არასაკმარის რაოდენობით მიღება | |
| E40-46 | კვების დეფიციტის სხვა სახეები | |
| E65-68 | სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები | |
| E70- E90 | მეტაბოლური დარღვევები | |
| H10.3 | მწვავე კონიუნქტივიტი, დაუზუსტებელი | |
| H60 | გარეთა ყურის ანთება | |
| H65.9 | შუა ყურის არაჩირქოვანი ანთება, დაუზუსტებელი | |
| | ოტალგია | |
| H92.0 | | |
| I10 | ესენციური (პირველადი) ჰიპერტენზია | |
| I15 | მეორადი ჰიპერტენზია | |
| I84.4 I84.5 | გარეთა ჰემოროიდალური კვანძები სხვა გართულებებით გარეთა ჰემოროიდალური კვანძები გართულების გარეშე | |
| I95 | ჰიპოტენზია | |
| J00 - J06 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციები | |
| J09-J18 | გრიპი და პნევმონია | |
| J20-J22 | ქვედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციები | |
| J30-J32 | ზედა სასუნთქი გზების სხვა დაავადებები | |
| J35 | ნუშურების და ადენოიდების ქრონიკული ავადმყოფობები | |
| J40- J44 | ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობები | |
| J96 | სუნთქვის უკმარისობა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში | |
| K21.9 | გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი ეზოფაგიტის გარეშე | |
| K29 | გასტრიტი და დუოდენიტი | |
| K30 | დისპეპსია | |
| K31.3 | პილოროსპაზმი | |
| K52 | სხვა არაინფექციური გასტროენტერიტის და კოლიტი | |
| K58 | გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი | |
| K59 | ნაწლავის სხვა ფუნქციური მოშლილობები | |
| K73 | ქრონიკული ჰეპატიტი | |
| K81.1 | ქრონიკული ქოლეცისტიტი | |
| K83.0 | ქოლანგიტი | |
| K83.9 | სანადგვე გზების სხვა ავადმყოფობები დაუზუსტებელი | |
| K86.9 | პანკრეასის ავადმყოფობები დაუზუსტებელი | |
| K90 | აბსორბციის დარღვევა ნაწლავებში | |
| L00 | სტაფილოკოკური დამდურული კანის სინდრომი | |
| L04 | მწვავე ლიმფადენიტი | |
| L08 | კანის და კანქვეშა ქსოვილების სხვა ლოკალური ინფექციები | |
| L20 - L25 | ატოპური დერმატიტი. სეზონური დერმატიტი. სახვევის დერმატიტი. ალერგიული კონტაქტური დერმატიტი | |
| L27 | შინაგანად მიღებული ნივთიერებებით გამოწვეული დერმატიტი | |
| L29 | ქავილი | |
| L50- L54 | ჭინჭრის ციება და ერთემა | |
| L55 | ნამზეური. | |
| M02 | რეაქტიული ართროპათიები | |
| M12.5 | ტრავმული ართროპათია | |
| M13.9 | ართრიტი დაუზუსტებელი | |
| M40- M41 | კიფოზი და ლორდოზი. სქოლიოზი | |
| M60 | მიოზიტი | |

| | | |
|----------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------|--|
| N10 | მწვავე ტუბულე-ინტერსტიციული ნეფრიტი | |
| N17 | თირკმლის მწვავე უკმარისობა | |
| N30 | ცისტიტი | |
| N39.0 | საშარდე გზების ინფექცია დაუზუსტებელი ლოკალიზაციით | |
| N62 | სარბევე ჯირკვლის პიპერტროფია | |
| N76.2 | მწვავე ვულვიტი | |
| P 35 | თანდაყოლილი ვირუსული ავადმყოფობები | |
| P 37 | სხვა თანდაყოლილი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები | |
| P 38 | ახალშობილთა ომფალიტი | |
| P 39 | პერინატალური პერიოდისათვის დამახასიათებელი სხვა ინფექციები | |
| P 55 | ნაყოფისა და ახალშობილის ჰემოლიზური ავადმყოფობა | |
| P 70- P 74 | ნაყოფისა და ახალშობილისათვის დამახასიათებელი ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები | |
| P 92 | ახალშობილთა კვების დარღვევები | |
| R00 | გულის რითმის დარღვევები | |
| R01 | გულის შუილები და სხვა ხმიანობები | |
| R03 | სისხლის წნევის პათოლოგიური მაჩვენებლები, დიაგნოსის გარეშე | |
| R04 | სისხლდენა სასუნთქი გზებიდან | |
| R04 | ხველა | |
| R06 | სუნთქვის დარღვევა | |
| R07 | ყელის და მკერდის ტკივილი | |
| R09 | სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება სისხლის მიმოქცევის და სასუნთქ სისტემებს | |
| R09 | მუცლის და მენჯის ტკივილი | |
| R11 | გულისრევა და პირღებინება | |
| R12 | გულმმარვა | |
| R13 | დისფაგია | |
| R14 | მეტეორიზმი და მისი მონათესავე მდგომარეობები | |
| R15 | განავლის სეუკავებლობა | |
| R16 | ჰეპატომეგალია და სპლენომეგალია | |
| R17 | დაუდგენელი გენეზის სიყვითლე | |
| R18 | ასციტი | |
| R19 | სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება საჭმლის მომნელებელ სისტემას და მუცლის ღრუს | |
| R20- R23 | სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება კანსა და კანქვეშა ქსოვილს | |
| R25- R29 | სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება ნერვულ და ძვალკუნთოვან სისტემას | |
| R30- R39 | სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება საშარდე სისტემას | |
| R40- R146 | სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება ცნობიერებას, აღქმას, ემოციურ მდგომარეობას და ქცევას. | |
| R40- R46 | სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება მეტყველებას და ხმას. | |
| R50- R53 R55- R69 | ზოგადი სიმპტომები და ნიშნები | |
| R70- R99 | სისხლის გამოკვლებით მიღებული ნორმიდან გადახრილი მონაცემები დიაგნოზის გარეშე | |
| R95 | ჩვილი ბავშვის უცვარი სიკვდილი | |
| T33 | ზედაპირული მოყინვა | |
| T67.0 | სითბოს დაკვრა და მზის დაკვრა | |

| | | |
|------|------------------------------------------------------------------|--|
| T68 | ჰიპოთერმია | |
| T71 | ასფიქსია | |
| T75 | სხვა გარეგანი მიზეზების ზემოქმედება | |
| T78 | არასასურველი ეფექტები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში | |
| Y 04 | თავდასხმა ფიზიკური ძალის გამოყენებით | |
| Y05 | სექსუალური ძალადობა ფიზიკური ძალის გამოყენებით | |
| Y06 | უწყურადღებოდ დატოვება და მოვლის გარეშე მიტოვება | |

2.5 საგაღებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ექიმს უნდა შეეძლოს შემდეგი კვლევების მონაცემების ინტერპრეტაცია:

- კლინიკური კვლევები
- მორფოლოგიური, ბიოქიმიური და სეროლოგიური კვლევა
- ვირუსოლოგიური, ბაქტერიული და იმუნოლოგიური კვლევა
- კოაგულოგრამა, მუავა-ტუტოვანი წონასწორობა, აირთა ცვლა, ელექტროლიტების კვლევა
- რეზუსი და ჯგუფი
- ეკგ და რეოვაზოგრაფიული კვლევა
- ულტრაბგერითი სკანირება
- რენტგენოგრაფია
- შინაგანი ორგანოების იზოტოპური კვლევა
- ც.ნ.ს-ის და ვეგეტაციური ნერვული სისტემის სპეციალიზებული კვლევა
- კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა
- სექციური, ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა
- კანის სინჯები
- გენეტიკური კვლევა

ექიმს უნდა შეეძლოს შემდეგი ჩარევების და კვლევების შესრულება:

- ავადმყოფობის, გენეალოგიური, სოციალური, ეპიდემიოლოგიური ანამნეზის შეგროვება ანტენატალური, პერინატალური, პოსტნატალური პერიოდების მიხედვით.
- ბავშვის ობიექტური გამოკვლევა, სიმპტომების და სინდრომების გამოვლენა, რომლებიც მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. გადაუდებელი დახმარების გაწევა.
- ისარგებლოს ფონენდოსკოპით, არტერიული წნევის აპარატით, ოტოსკოპით, ოფთალმოსკოპით, ლარინგოსკოპით, კუჭისა და დუოდენური ზონდებით, შარდის ბუშტის კათეტერით, ინფუზიური თერაპიის სისტემებით, საინჰალაციო აპარატებით, ელექტროამომწოვით, სასუნთქი ნიღბით, კანულებით, საინტუბაციო მილებით, თვითშლადი ტომრით, კარდიომონიტორით, პულსოქსიმეტრით, პიკფლოუმეტრით.
- განსაზღვროს ბავშვის ზრდა-განვითარების ხასიათი და გამოავლინოს დარღვევები. ისარგებლოს ანთროპომეტრული გაზომვის საშუალებებით, პერცენტილური მრუდებით, ტანერის სკალით სქესობრივი განვითარების შესაფასებლად. განახორციელოს ბავშვის ზრდა – განვითარების მონიტორინგი. სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა. გონადების შეფასება. თმინობის შეფასება. ჰორმონთა ბაზალური დონის შეფასება. ძვლოვანი ასაკის შეფასება. ფარისებური ჯირკვლის პალპაცია.
- განსაზღვროს პროფილაქტიკური აცრების ჩვენებები და უკუჩვენებები. მოახდინოს აცრების დროული ჩატარების ორგანიზაცია. პოსტვაქცინური გართულებების მართვა.
- ანომალიებისა და განვითარების მანკების შეფასება. გენეალოგიური ხის შედგენა.
- ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვის კვება.
- ვიბრაციული მასაჟი და ორთოსტატიული ვარჯიში.

პედიატრს უნდა შეეძლოს შემდეგი გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და რეფერალი:

- ტრიაუსის პრინციპები
- კლინიკური სიკვდილი (გულის გაჩერება/სუნთქვის გაჩერება)
- ABCD რეანიმაციის პრინციპები, PALS, BLS
- რესპირაციული დისტრესი. რესპირაციული უკმარისობა. აპნოეს შეტევა. ასფიქსია. კრუპის სინდრომი. ობსტრუქციული სინდრომი. ბრონქული ასთმის შეტევა. ასთმური სტატუსი. ფილტვის შეშუპება. პნევმოთორაქსი. პლევრალური ეფუზია. ეპიგლოტიტი. პერიტონზილარული და რეტროფარინგეალური აბსცესი.
- მწვავე სისხლძარღვოვანი უკმარისობა (კოლაფსი, შოკი)
- კომა (დიაბეტური ჰიპერგლიკემიური, ჰიპოგლიკემიური, სხვა გენეზის)
- ჰიპერტენზიული და ჰიპოტენზიული მდგომარეობა
- გულის მწვავე უკმარისობა
- დისრიტმია
- თირკმლის მწვავე უკმარისობა
- ღვიძლის მწვავე უკმარისობა
- თირკმელზედა ჯირკვლის მწვავე უკმარისობა
- დეჰიდრატაცია და ელექტროლიტური დისბალანსი.
- მუავა-ტუტოვანი წონასწორობის დარღვევა.
- ცხელების მართვა
- ტვინის შეშუპება, კრუნხვითი სინდრომი, ფებრილური გულყრა
- მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილაქსიური შოკი, კვინკეს შეშუპება და სხვ.)
- მოწამვლა, ტრავმა, ელექტროტრავმა, დამწვრობა, მოყინვა, ასფიქსია, დახრჩობა
- უცხო სხეული სასუნთქ გზებში და გასტროენტეროლოგიურ ტრაქტში.
- მწვავე მუცელი
- მწვავე ტკივილის შეფასება და მართვა
- სედაციის პრინციპები მანიპულაციების ჩატარების დროს
- ნაწლავთა პარეზი, გაუვალობა
- სისხლდენა (ცხვირიდან, ფილტვებიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან)
- ჭრილობის პირველადი დამუშავება
- გადაუდებელი დახმარება ფსიქიკური დაავადებების დროს
- ძალადობა ბავშვზე

პედიატრი უნდა ფლობდეს შემდეგ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მანიპულაციებს:

- ფილტვის დადებითი წნევით ვენტილაცია “პირით-პირში”, “პირით-ცხვირში”, ამბუს ნიღბით და ტომრით.
- გულის დახურული მასაჟი
- ჭრილობის პირველადი დამუშავება
- კისრის და კიდურების იმობილიზაცია მოტეხილობის დროს
- გარეგანი სისხლდენის შეჩერება
- სასუნთქი გზების უცხო სხეულისგან განთავისუფლება (ჰემლიხის მანევრი)
- ზედა სასუნთქი გზების და ტრაქეო-ბრონქიალური ხის სანაცია და ლავაჟი
- სისხლის ჯგუფისა და რეზუსის განსაზღვრა
- პერიფერიული სისხლძარღვების კათეტერიზაცია და პუნქცია
- ინფუზიური თერაპია
- ჰემოტრანსფუზია
- ნაზო-გასტრალური და ორო-გასტრალური ზონდის გამოყენება
- პარენტერალური კვება
- ინტუბაცია
- ტრაქეოსტომია
- პლევრალური, ლუმბალური და პერიტონეალური პუნქცია

- ოტოსკოპია
- ოფთალმოსკოპია
- ანთროპომეტრული მონაცემების აღება (აწონა, გაზომვა, სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა)
- პიკფლოუმეტრია
- კუჭის ამორეცხვა
- კუჭისა და დუოდენალური ზონდირება
- გამწმენდი, ჰიპერტონული და სამკურნალო ოყნა
- რექტალური გასინჯვა
- მშობიარობის მიღება
- ახალშობილთა ჭიპლარის ტაკვის, კანის, ლორწოვანების პირველადი დამუშავება
- კიუვეზის ხმარება
- ოქსიგენოთერაპია (ნილაბი, კანულა)
- ახალშობილთა ზონდით კვება
- ელექტროამომწოვით სარგებლობა
- ინჰალაციური თერაპია (ნებულაიზეროთერაპია)
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
- სინჯი ტუბერკულინით
- ვაქცინაცია

გამოყენებული მასალები:

- სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის **(WFME)** სტანდარტები,
- ექიმთა დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების სისტემის კონცეფცია (საქართველო),
- პედიატრიული სამომავლო განათლების **(FOPE)** ჯგუფის კვლევები,
- პედიატრიულ ორგანიზაციათა ფედერაციის **(FOP0)** მოხსენებები,
- ამერიკის პედიატრიული რეზიდენტურის გადახედვის კომიტეტის **(RRC)** რეკომენდაციები,
- ამერიკის პედიატრთა საბჭოს **(ABP)** რეკომენდაციები,
- ამერიკის პედიატრთა აკადემიის რეზიდენტურის ჯგუფის **(AAP-RS)** რეკომენდაციები,
- ამბულატორიული პედიატრიის ასოციაციის **(APA)** საგანმანათლებლო გაიდლაინები,
- ევროპის პედიატრიული საბჭოს **(EBP)** პედიატრიაში ტრენინგის პროგრამა.

3. სწავლების/შეფასების მეთოდები

პროგრამის თითოეულ მოდულში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს რეზიდენტის:

- **თეორიულ მზადებას** - ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, კვლევით მუშაობას, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება ხორციელდება საქმიანობიდან მოუწყვეტილ თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის ან "ბიბლიოთეკის" დღეა.

- **პრაქტიკულ საქმიანობას** - ავადმყოფთა კურაციას, შემოვლებში, კლინიკურ გარჩევებში, კლინიკურ კონფერენციებში მონაწილეობას, პოლიკლინიკის და სტაციონარის სხვადასხვა განყოფილებაში, კაბინეტებში, სამანიპულაციოებში მუშაობას, მორიგეობას და სხვ.

რეზიდენტურაში მზადების მთელ პერიოდში რეზიდენტს აქვს უფლება დამოუკიდებლად გამოთქვას თავისი აზრი, როგორც თეორიულ საკითხებზე, ასევე დაავადების ხასიათსა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკაზე.

ექიმ-პედიატრის პროფესიული მზადების ძირითადი მეთოდია რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის უშუალო შესრულება რეზიდენტურის მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის პირობებში.

თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული საქმიანობის გარდა რეზიდენტი მონაწილეობს მზადების სხვა ფორმებში:

1. **დილის კონფერენცია** – ინფორმაციის მიწოდება იმ პაციენტების შესახებ, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს ან რომელთაც დასჭირდათ დახმარება მისი მორიგეობის განმავლობაში.
2. **შუადღის სემინარი** – თეორიული მეცადინეობა, რომელსაც ატარებს ყოველდღე სხვადასხვა სპეციალობის ექიმი (მოდულზე პასუხისმგებელი პირი). სემინარი ეხება პედიატრიის ძირითად საკითხებს.
3. **ზოგადი შემოვლა** – რეზიდენტი წარმოადგენს საინტერესო პაციენტს (ახსენებს ავადმყოფობის ისტორიას და გამოკვლევის შედეგებს), აუდიტორია სვამს კითხვებს და ცდილობს გამოიკვლიოს დიაგნოზი. დისკუსიის დამთავრების შემდეგ აუდიტორიას ეცნობება ავადმყოფის დიაგნოზი და წაეკითხება მოკლე ლექცია ამ საკითხზე.
4. **დისკუსია** – პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე საუბარი, რომელსაც წარმართავს შესაბამისი სფეროს სპეციალისტი.
5. **კონფერენცია** – რომელზეც განიხილება პედიატრიის ან მისი სუბსპეციალობების ერთ-ერთი საკითხი.
6. **მოსხენება სახელმძღვანელოს თავების ირგვლივ** – რეზიდენტები მიმოიხილავენ წიგნის ამა თუ იმ თავს და ამზადებენ პრეზენტაციას. ამ გზით ისინი საფუძვლიანად ითვისებენ სახელმძღვანელოს, ეჩვევიან მსჯელობას.
7. **“ჟურნალის კლუბი”** – რეზიდენტები წარმოადგენენ პედიატრიული ჟურნალის 3 სტატიას და მსჯელობენ მის ირგვლივ. ეს სტატიები ჩვეულებრივ უკავშირდება პედიატრიის ერთერთ პრობლემას და მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს. მაგ. 3 სტატია, რომელიც ეხება ასთმის მკურნალობის უახლეს მეთოდებს. საჟურნალო კლუბში მუშაობით რეზიდენტები იღებენ უახლეს ინფორმაციას ახალი ტექნოლოგიებისა და მიღწევების შესახებ პედიატრიაში. ყოველმა რეზიდენტმა 3 წლიანი სწავლების განმავლობაში სულ მცირე სამ-სამჯერ მაინც უნდა გააკეთოს მოსხენება სახელმძღვანელოს თავების ირგვლივ და “ჟურნალის კლუბში.”
8. **პრეზენტაცია** – 1-3 თვიანი როტაციების დროს რეზიდენტმა სხვა რეზიდენტებს და სტუდენტებს ერთხელ მაინც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და 10 წუთიანი ან უფრო ხანგრძლივი პრეზენტაცია-ლექცია შესაბამისი სპეციალობის ან სუბსპეციალობის აქტუალურ საკითხებზე.
9. **სამეცნიერო მუშაობა** - რეზიდენტის მზადების ერთ-ერთი კომპონენტია სამეცნიერო მუშაობა, რომელიც იწყება სწავლების პირველი წლიდან გრძელდება მთელი სარეზიდენტო პერიოდი. იგი აჩვენებს რეზიდენტს დაუკავშიროს ბაზისური ცოდნა კლინიკურ ასპექტებს. რეზიდენტი გარდა იმისა, რომ ჩართული არის პათანატომიურ კვლევებში, შეუძლია 2-თვიანი როტაციის სახით მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო პროექტებში, ახალი სამკურნალო პრეპარატებისა და ტექნოლოგიების აპრობაციაში. რეზიდენტს პედაგოგებმა უნდა გაუწიონ დახმარება კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის მიზნის, მეთოდების, შედეგების შეფასებასა და შესაბამისად პუბლიკაციისთვის მომზადებაში. სასურველია კომპიუტერული სერვისის არსებობა კვლევის შედეგების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავებისათვის. ამასთან, რეზიდენტს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის შეგროვება, დამუშავება და კრიტიკული ანალიზი. იგი ვალდებულია “რეზიდენტის დღიურში” ასახოს გაწეული სამეცნიერო მუშაობა. კვლევის პროცესი განკუთვნილია იმისთვის, რომ ახლოს გააცნოს რეზიდენტი კვლევების ძირითად მეთოდოლოგიას. რეზიდენტის მონაწილეობა სამეცნიერო კვლევის პროექტში ხორციელდება ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. კვლევითი გამოცდილებისა და გამოკვლევის ციკლის ოპტიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია რომ რეზიდენტმა და ხელმძღვანელმა შეადგინონ შემჭიდროვებული (მოკლე), შესაბამისი პროექტები. იგი უნდა შეიცავდეს შემდგომი მოქმედებების ამკარად განსაზღვრულ ჩამონათვალს: ლიტერატურის მიმოხილვა, გამოკვლევის დიზაინი, მონაცემთა მიღება და შენახვა, მონაცემთა ანალიზი და აბსტრაქტის/სტატიის მომზადება. პროექტის ბუნების მიხედვით კვლევის ციკლი უნდა წარმართოს ერთი ან ორი ამ ქმედების დასასრულებლად. იმისდა მიუხედავად, თუ კვლევის რომელი ძირითადი მოქმედება სრულდება ამორჩეული ბლოკის განმავლობაში, პროექტი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მისი სრული დამთავრება მოესწროს იმ მომენტამდე, როცა რეზიდენტი დაასრულებს სარეზიდენტო პროგრამას. პროექტი წარდგენილი უნდა იქნეს რეზიდენტთა ყოველწლიურ კონფერენციებზე. პროგრამ-ხელმძღვანელმა იმისდა მიხედვით, თუ როგორია კვლევითი პროექტის ბუნება, შესაძლებელია, მისივე ხელმძღვანელობით, იმავე კლინიკის სხვა წევრი დანიშნოს ფაკულტეტის ხელმძღვანელ-მასწავლებლად, ან ამოარჩიოს სხვა ფაკულტეტიდან კოოპერაციის მიზნით პირი, რომელიც ასისტირებას გაუწევს რეზიდენტს კვლევის პროცესში.

- **თეორიული ცოდნის შეფასება** ხდება ყოველი მოდულის გავლის შემდეგ და ყოველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ იმ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილი დისციპლინების მასალის ტესტური შემოწმების საფუძველზე.
- **პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების ხარისხის შეფასება** ხდება პროგრამ ხელმძღვანელის ან მოდულზე პასუხისმგებელი პირების მიერ ყოველი მოდულის გავლის შემდეგ ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

კომპაქტაციის ღონე:

| | |
|----|--------------------------|
| 1. | ასრულებს დამოუკიდებლად |
| 2. | ასრულებს ტრენერთან ერთად |
| 3. | ვერ ასრულებს |

5. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

რეზიდენტურაში პროფესიული მზადება წარიმართება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულზე პასუხისმგებელი პირები და რეზიდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

1. რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/ /სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინარეობაზე კონტროლი.
3. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ყოველწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინო დაწესებულების მითითებით.
4. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
7. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულებების/სასწავლებლების ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან/მაძიებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.
9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა.
2. პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა.
3. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
4. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);

2. რეზიდენტ/სპეციალისტის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელობას;
3. რეზიდენტ/სპეციალისტის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
4. რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
6. რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების/სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
7. რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;
8. რეზიდენტი/სპეციალისტის მაძიებელი ვალდებულია გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად.
9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტ/სპეციალისტის მაძიებელს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა.
10. პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას რეზიდენტ/სპეციალისტის მაძიებელს პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ განესაზღვრება მოდულის/მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.

რეზიდენტურის სასწავლო ბაზა

სასწავლო ბაზად გამოყენებული განყოფილებები/დეპარტამენტები/ დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. პროგრამის ხანგრძლივობა

“პედიატრიაში” რეზიდენტურის პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელიწადია.

წელიწადში 11 თვე სამუშაოა, 1 თვე განკუთვნილია შვებულებისათვის. სამუშაო დღე 6-საათიანია, სამუშაო კვირა 6-დღიანი. მორიგეობა დასაშვებია არაუადრეს ყოველი მე-4 დამისა.

სწავლების I წლის ბოლოს რეზიდენტს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს ჯანმრთელ ბავშვზე დისპანსერული მეთვალყურეობა, პროფილაქტიკური გასინჯვები.

სწავლების II წლის ბოლოს რეზიდენტს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს ჯანმრთელი ახალშობილის პატრონაჟი, ჯანმრთელ ბავშვზე დისპანსერული მეთვალყურეობა, პროფილაქტიკური გასინჯვები, მსუბუქად მიმდინარე დაავადებების მკურნალობა და პირველადი დახმარება კრიტიკულ სიტუაციაში.

სწავლების III წლის ბოლოს რეზიდენტი მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის, რადგან მან უნდა იცოდეს დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.

II. პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების აღწერილობა წლების მიხედვით

პროფესიული მზადების I წელიწადი

მოდულების რაოდენობა: 3

| | |
|----------------------------------------|-------|
| განვითარებისა და ქცევის პედაგოგია | 3 თვე |
| მოზარდთა მედიცინა | 2 თვე |
| ამბულატორიული და პრევენციული პედაგოგია | 6 თვე |

მოდული 1.1. განვითარების და ქცევის პედაგოგია

(მოდულის ხანგრძლიობა: 3 თვე)

მოდულის მიზანი: შეასწავლოს რეზიდენტს ბავშვის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური განვითარების კანონზომიერებები ასაკობრივ ჭრილში, ზრდა-განვითარებაში შეფერხების და ქცევის პათოლოგიის დროული ამოცნობა და მართვა.

მოდულის ამოცანები:

1. ანტენატალური განვითარება: ბლასტოგენეზი, ემბრიოგენეზი, ფეტალური განვითარების პერიოდი. ცნება კრიტიკული პერიოდების შესახებ.
2. პოსტნატალური განვითარება. ბავშვთა ასაკობრივი პერიოდები: ახალშობილი, ჩვილი, ადრეული ბავშვობა, ყრმობა, მოზარდობის ხანა.
3. ფიზიკური განვითარების თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. შეფასების მეთოდები: საორიენტაციო ემპირიული ფორმულები, პარამეტრული და ცენტრული ცხრილები და მრუდეები, სიგრძე/წონის შესაბამისობის განსაზღვრა. კბილებისა და ჩონჩხის ასაკობრივი განვითარება.
4. ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა. ზრდაში ჩამორჩენის სემიოტიკა. აქსელერაცია. კვების ქრონიკული მოშლა. მიზეზები. სიმძიმის შეფასება, მართვა.
5. ფსიქომორტორული განვითარების კანონზომიერებები ასაკობრივ ასპექტში. შემეცნებითი სფეროს განვითარების თეორიები: პიაჯეტის, ფროიდის, ერიქსონის.
6. ფსიქომორტორული განვითარების შეფასება. გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა.
7. ქცევის თავისებურებები ბავშვებში. ქცევის ინდივიდუალური თავისებურებები და ქცევის პათოლოგია.
8. კვებასთან დაკავშირებული პრობლემები: რუმინაცია, გაუკუმართებელი გემოვნება, სიმსუქნე, ბულიმია, ნერვული ანორექსია.
9. ძილთან დაკავშირებული პრობლემები: დამის სიზმრები, დამის შიშები, სომნსმბულიზმი, დაძინების პრობლემები ტუალეტის პრობლემები: ენურეზი, ენკოპრეზი.
10. თვითდამშვიდების ჩვევები: თავის ქნევა, კბილების კრაჭუნი (ბრუქსიზმი), ცერის წოვა, ფრჩხილების კვნება (ტრიქოტილომანია), ტიკები, თმების გლეჯა, სხეულის ნაწილების კბენა, ტურეტის სინდრომი.
11. შიშები და ფობიები: მშობელზე მიჯაჭვულობა, დედასთან/ადმზრდელთან დაშორების შიში, სკოლის ფობია, სოციალური ფობია, უცხო ადამიანების შიში, პოსტტრავმული სტრესი.
12. დესტრუქციული ქცევა: ოპოზიციონალიზმი, ტყუილი, აგრესია, ქურდობა, აპათია, დეპრესია, გაქცევა სახლიდან.
13. სწავლის პრობლემები (სკოლის დისფუნქცია): ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიური ბავშვის სინდრომი, კითხვის პრობლემები (დისლექსია), წერის, ანგარიშის, მეხსიერების პრობლემები.
14. სექსუალური ქცევის/სქესის იდენტიფიკაციის დარღვევები: ონანიზმი, ტრანსსექსუალიზმი, ტრანსვესტიზმი, პომოსექსუალიზმი.
15. ფსიქიური დარღვევები: დეპრესია, შიზოფრენია, აუტიზმი.
16. ძალადობა და უყურადღებობა. სუიციდი. მედიკამენტებზე დამოკიდებულება.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

| მოდულის გაგლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს | პროფესიული უნარ-ჩვევები (მინიმალური ოდენობის მითითებით) | დავალება |
|-----------------------------------------------------|---------------------------------------------------------|-----------------|
| ანთროპომეტრია: ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა სიგრძის | ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა სიგრძის და მასის გაზომვა – 30 | რეზიდენტმა უნდა |

| | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| და მასის გაზომვა. ბავშვთა სიმაღლის და წონის გაზომვა. | ბავშვთა სიმაღლის და წონის გაზომვა – 30 | დაწეროს თვეში ერთი რეფერატი, სასურველია გააკეთოს პრეზენტაცია ან მოსხენება |
| ფიზიკური განვითარების შეფასება საორიენტაციო ფორმულებით, პარამეტრული და ცენტრილური ცხრილებით და მრუდეებით. | ფიზიკური განვითარების შეფასება საორიენტაციო ფორმულებით, პარამეტრული და ცენტრილური ცხრილებით და მრუდეებით – 30 | რეზიდენტთა კონფერენციისათვის |
| ჩონჩხის და კბილების განვითარების შეფასება, ძვლოვანი ასაკის დადგენა. | ჩონჩხის და კბილების განვითარების შეფასება – 20 ძვლოვანი ასაკის დადგენა – 15 | |
| ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების შეფასება (ვიზუალურ-მოტორული, მეტყველების, ემოციური, სოციალური ადაპტაციის). | ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების შეფასება (ვიზუალურ- მოტორული, მეტყველების, ემოციური, სოციალური ადაპტაციის) – 20 | მოდულის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ ყოველი თვის ბოლოს ზეპირი გასაუბრების გზით და მოდულის ბოლოს ტექსტური ჩათვლის და უნარ- ჩვევების ათვისების დონის შემოწმების გზით. |
| ქცევის პათოლოგიის ამოცნობა. ქცევის პათოლოგიის მქონე ბავშვთან და მის მშობლებთან კომუნიკაცია. | | |
| შარდვასა და დეფეკაციაზე კონტროლის ჩამოყალიბების ვადები და ვარიაციები. ენურეზის და ენკოპრეზის დიაგნოსტიკა. | შარდის მიკროსკოპული კვლევა – 10 | |
| მუცლის კოლიკის მართვა ჩვილებში კვების, ძილის, დესტრუქციული ქცევის მქონე ბავშვის მართვის ზოგადი პრინციპები. | | |
| ყურადღების დეფიციტი/ჰიპერაქტიური ბავშვის სინდრომის ამოცნობა და მართვის პრინციპები. | | |
| გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენის მიზეზები, ხარისხი და ამოცნობის ვადები. სპეციალური ლაბორატორიულ- ინსტრუმენტული კვლევების (კრანიალური ულტრასონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა და სხვა) მნიშვნელობის დასაბუთება. | კრანიალური ულტრასონოგრაფიული კვლევა – 10 | |
| უნარშეზღუდული ბავშვის სპეციალიზირებულ კლასში გადაყვანის კრიტერიუმები. ალტერნატიული საგანმანათლებლო სისტემა. | | |
| აუდიომეტრული ტესტების ჩატარების ჩვენებები. ყრუ ბავშვის განათლების შესაძლებლობები. | | |
| მხედველობის პრობლემების (რეტრაქციის ანომალია, ასტიგმატიზმი, სიელმე და სხვა) დადგენა. | | |
| ძალადობის და უყურადღებობის შემთხვევაში საექვო ნიშნების ამოცნობა. მსგავსი შემთხვევების იურიდიული ასპექტები და პრევენციული მეთოდები. | | |

მოდული 12. მოზარდთა მედიცინა
(მოდულის ხანგრძლიობა: 2 თვე)

მოდულის მიზანი: შეასწავლოს რეზიდენტს მოზარდ პაციენტთან ურთიერთობის თავისებურებები, მოზარდთა ბიოლოგიური, ფსიქო-სოციალური და სქესობრივი განვითარების დარღვევების ამოცნობა და მართვა, ავადობის სტრუქტურა, უნშირესი დაავადებების მართვა და პრევენცია.

მოდულის ამოცანები:

1. განვითარების კანონზომიერებები მოზარდობის პერიოდში: ბიოლოგიური განვითარება—ზრდა, სქესობრივი მომწიფება (ადრენარხე, ტელარხე, მენარხე გოგონებსა და ვაჟებში). კოგნიტიური განვითარება. ფსიქო-სოციალური განვითარება.
2. მოზარდთა ავადობის და სიკვდილიანობის მიზეზები და ეპიდემიოლოგია.
3. მენსტრუაციის ფიზიოლოგია და პათოლოგია. ფიზიოლოგიური ლეიკორეა, ამენორეა, დისმენორეა, დისფუნქციური სისხლდენა, პრემენსტრუალური სინდრომი.
4. გინეკომასტია. გალაქტორეა.
5. სქესობრივი მომწიფების დარღვევა: ნაადრევი სქესობრივი მომწიფება. სქესობრივი მომწიფების შეფერხება. პირველადი და მეორადი ამენორეა.
6. მოზარდთა ქცევის თავისებურებები და ქცევის პათოლოგია: დეპრესია, სუიციდი, ძალადობა, ნერვული ანორექსია, ბულიმია, ნევროზი, ფსიქოზი, მედიკამენტებზე და ტოქსინებზე დამოკიდებულება (ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები, ჰალუცინოგენები, ანაბოლური სტეროიდები).
7. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.
8. კონტრაცეფცია. ორსულობა.
9. კანის პრობლემები.
10. ორთოპედიული პრობლემები (სკოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი) სახსრების პათოლოგია (პერტეისის დაავადება, შლატერის დაავადება) სპორტული ტრამვა.
11. ალერგიული და აუტოიმუნური დაავადებები რემატიული დაავადებების ეპიდემიოლოგიასტრუქტურა.
12. საშარდე გზების დაავადებები.
13. გასტროენტეროლოგიური დაავადებები.
14. მხედველობისა და სმენის პრობლემები.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

| მოდულის გაგლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს | პროფესიული უნარ-ჩვევები (მინიმალური ოდენობის მითითებით) | დავალება |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მოზარდ პაციენტთან და მის მშობელთან ურთიერთობის თავისებურებები. თანხმობა, კონფიდენციალურობის, პერსონიფიცირების პრინციპების დაცვა | | რეზიდენტმა უნდა დაწეროს თვეში ერთი რეფერატი, სასურველია გააკეთოს პრეზენტაცია ან მოხსენება რეზიდენტთა კონფერენციისათვის |
| მოზარდის ფიზიკური განვითარების შეფასება: (ანთროპომეტრული, ცენტრილური ცხრილების სიმადლე/მასის შესაბამისობის საფუძველზე | მოზარდის ფიზიკური განვითარების შეფასება – 15 | გააკეთოს რეზიდენტთა კონფერენციისათვის |
| მოზარდის სქესობრივი განვითარების შეფასება ტანერის შკალით. მეორადი სასქესო ნიშნების გამოვლენის ვადები და ვარიაციები გოგონებსა და ვაჟებში. ნაადრევი სქესობრივი მომწიფების ან სქესობრივი მომწიფების შეფერხების ამოცნობა | მოზარდის სქესობრივი განვითარების შეფასება ტანერის შკალით – 20 | მოდულის შეფასება ხდება |
| მოზარდის კოგნიტიური და ფსიქო-სოციალური განვითარების შეფასება კითხვარების მეშვეობით | | ხელმძღვანელის მიერ ყოველი თვის ბოლოს ზეპირი გასაუბრების გზით |
| მოზარდის ობიექტური გასინჯვა. სომატური პათოლოგიის (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საშარდე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების) ამოცნობა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის შედეგების ინტერპრეტაცია. დიფერენციალური დიაგნოზი ამ ასაკობრივ ჯგუფში ავადობის სტრუქტურის გათვალისწინებით | მოზარდის ობიექტური გასინჯვა – 25 | და მოდულის ბოლოს ტესტური ჩათვლის და უნარ-ჩვევების ათვისების დონის შემოწმების გზით. |

| | | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------|--|
| მოზარდის ქცევის პათოლოგიის ამოცნობა: დეპრესიის, სუიციდის, ნევროზის, ფსიქოზის და სხვა. პრევენცია და მართვა. ფსიქოპათოლოგიის და ფსიქოპროფილაქტიკის პრინციპები | | |
| მოზარდის პირადი ჰიგიენა, სქესობრივი ჰიგიენა, კონტრაცეფცია. | საუბარი მოზარდთან პირადი ჰიგიენის, სქესობრივი ჰიგიენის, კონტრაცეფციის საკითხებზე – 15 | |
| სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ამოცნობა, მკურნალობის და პრევენციის პრინციპები. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა გაუპატიურების შემთხვევაში | საშოს ნაცხის აღება – 2 | |
| გინეკოლოგიური გენეზის მუცლის ტკივილის ამოცნობა. რეფერალის აუცილებლობის დასაბუთება | მოზარდი გოგონას სასქესო ორგანოების სონოგრაფიული კვლევა – 5 | |
| ორთოპედიული სკრინინგი. სკოლიოზის, კიფოზის, ლორდოზის და სახსრების დაავადებების ამოცნობა | ორთოპედიული სკრინინგი – 15 | |

მოდული 1.3. ამბულატორიული და პრევენციული პედაგოგია

(მოდულის ხანგრძლივობა: 6 თვე)

მოდულის მიზანი: შეასწავლოს რეზიდენტს ყველა ასაკის ბავშვთა ზრდა-განვითარების და ქცევის კანონზომიერებები, ჯანმრთელ ბავშვზე მეთვალყურეობის პრინციპები, ავადობის სტრუქტურა, დაავადების გამოვლენა და მართვა პრეპოსპიტალურ დონეზე, სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზაცია.

მოდულის ამოცანები:

1. ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ორგანიზაცია ჯანდაცვის პირველად რეოლში. სამედიცინო დახმარების საუბნო პრინციპი. სამედიცინო დახმარება ბინაზე და ამბულატორიაში. ახალშობილთა პატრონაჟი. პროფილაქტიკური გასინჯვა. პედაგოგის როლი ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებაში, აღზრდაში, მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ ამოცნობა, მართვასა და პრევენციაში. ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება პოსპიტალიზაციამდე ეტაპზე. სტაციონარული მკურნალობის ჩვენებები. ავადმყოფთა რეაბილიტაცია და აღდგენითი თერაპია (ფიზიოთერაპია, მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, რეფლექსოთერაპია). სანატორიულ-კურორტული მკურნალობის ორგანიზაცია. ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პაციენტებზე მეთვალყურეობა.
2. ბავშვთა ავადობის სტრუქტურა ასაკობრივ ჭრილში.
3. დისპანსერული მეთვალყურეობის სისტემა. ჯანმრთელობის ჯგუფები. სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკის-ჯგუფის ბავშვების გამოვლენა და მართვა.
4. ბავშვთა ფიზიკური და ფსიქო-მოტორული განვითარების შეფასება.
5. ბავშვთა კვების ორგანიზაცია. მოთხოვნილება საკვებ ინგრედიენტებზე, ვიტამინებსა და მინერალებზე მართლებზე ახალშობილებსა და ბავშვებში. 1 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ბავშვთა კვების ორგანიზაცია. კვების ორგანიზაცია 1 წელზე მეტი ასაკის ჯანმრთელ ბავშვებსა მოზარდებში. ძუძუთი კვების ტექნიკა, პრინციპები და პრობლემები (დედის მხრიდან, ბავშვის მხრიდან). დამატებითი საკვების მიცემის ვადები. შერეული კვება. ხელოვნური კვება (ადაპტირებული, არაადაპტირებული საკვები, სამკურნალო ნარევი). ერთიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების კვება. დღენაკლ ბავშვთა კვების ორგანიზაცია. კვების ორგანიზაცია სხვადასხვა დაავადებების დროს (კუჭის, ღვიძლის, პანკრეასის დაავადებები, ქოლეპათია, ნეფროპათია, ცისტოფიბროზი, ცელიაკია, მალაბსორბციის სინდრომი და სხვა).
6. იმუნიზაცია. აქტიური იმუნიზაცია. ვაქცინების ტიპები. აცრების კალენდარი. აცრების ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები, ადრეული და შორეული გართულებები და მათი მართვა. პასიური იმუნიზაცია. იმუნოგლობულინების ტიპები. დანიშვნის ჩვენებები, უკუნჩვენებები, გვერდითი მოვლენები.
7. ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის გზები. ინფექციაზე კონტროლის პრინციპები ოჯახში და ბავშვთა დაწესებულებებში. კარანტინი, ქემოპროფილაქტიკა, ვაქცინაცია.
8. ავადმყოფი ბავშვის გასინჯვა. ანამნეზი. ფიზიკური შეფასება. რუტინული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია. მწვავე დაავადებების მკურნალობა პრეპოსპიტალურ დონეზე.
9. ქრონიკული დაავადებების გამწვავებების პრევენცია. ანტირეციდიული თერაპია.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

| მოდულის გაგების შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს | პროფესიული უნარ-ჩვევები (მინიმალური ოდენობის მითითებით) | დავალება |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
